**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**1. ბიუჯეტის შემოსულობები**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 19 431,7 ათასი ლარით. 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 2025 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 3 675,9 ათასი ლარით. საკუთარი შემოსულობები განსაზღვრულია 19 431,7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

**საგადასახადო შემოსავლები** (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი N04-03/74728 04/10/2024) **12 590.4 ათასი ლარი** (2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 11 585.3 ათას ლარს, საგადასახადო შემოსავლები 2025 წლის ბიუჯეტით 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 1 005,1 ათასით) **აქედან:**

დამატებული ღირებულების გადასახადი 10 040.4 ათასი ლარი (2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 9 185.3 ათასი ლარს, 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 855.1 ათასით. ქონების გადასახადი 2 550,0 ათასი ლარი (2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2400,0 ათას ლარს, გაიზარდა 150,0 ათასი ლარით);

**სხვა შემოსავლები 5 341.3 ათასი ლარი** (2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2 282,4 ათას ლარს) **აქედან:**

შემოსავლები საკუთრებიდან - 4 596,3 ათასი მათ შორის: დეპოზიტზე და ანგარიშზე დარიცხული პროცენტები 30,0 ათასი ლარი, რენტა - 4 666,3 ათასი ლარი, მ.შ: მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის 1200,0 ლარი,

მოსაკრებელი წიაღისეულით სარგებლობისათვის 200,0 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 3 166.3 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსავალი შეადგენს 65,0 ათასს ლარს.

ჯარიმები, სანქციები და საურავები 650,0 ათასი ლარი.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 30,0 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** მისაღები შემოსავლები დაგეგმილია 500,0 ათასი ლარის ოდენობით.

2025 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია 1000,0 ლარით, აღნიშნული თანხა წარმოადგენს სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს. მთლიანობაში ნაშთის ცვლილების ჩათვლით 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 19 431.7 ათას ლარს.

**2. ბიუჯეტის გადასახდელები.**

ბიუჯეტის გადასახდელები გაანგარიშებულია არსებული შტატების, საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსებისთვის საჭირო თანხების, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და გათვლილია სულ: 19 431.7ათასი ლარის ოდენობით, აქედან:

**მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დაფინანსებაზე დაიხარჯება 6 161.5 ათასი ლარი,** მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსებაზე დაიხარჯება 1792.0 ათასი და მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება შეადგენს 3 897.5 ათასი ლარს.

მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა და საზოგადოების ინფორმირებაზე დაიხარჯება 10,0 ათასი ლარი;

ჩოხატაურის სამოქალაქო ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - 50,0 ათასით;

საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამაზე დაიხარჯება- 42.0 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდის მოცულობა განსაზღვრულია 150,0 ათასი ლარი;

მგფ -ის და სხვა ვალდებულებების დაფარვაზე გამოყოფილია 120,0 ათასი ლარი;

**პროექტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე** (პროგრამული კოდი 02 00) **– 1 782.5 ათასი ლარია მიმართული, აქედან:**

გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02) ხარჯებზე მიიმართება 133,1 ათასი ლარი; გარე განათების (პროგრამული კოდი 02 02) ხარჯებზე მიიმართება 849,4 ათასი ლარი; მ.შ. გარე განათების ქსელის ექსპლოატაციაზე 214,4 ათასი ლარი; გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე 35,0 ათასი ლარი, გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯისთვის გამოყოფილია 500,0 ათასი ლარი. ჩოხატაური მდგრადი ენერგეტიკული მომავლისათვის ხარჯები განსაზღვრულია - 100,0 ათაით.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 02 03) ბიუჯეტის პროექტით 150,0 ათასი ლარია გათვალისწინებული.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენის პროგრამაზე გამოყოფილია 250.0 ათასი ლარი.

საზედამხედველო და საექსპერტო მომსახურების შემენაზე გაიხარჯება - 200,0 ათასი ლარი.

**დასუფთავებასა და გარემოს დაცვის** (პროგრამულიკოდი 03 00) პრიორიტეტზე გამოყოფილია **2 194.7** ათასი ლარი. მათ შორი: დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2070,0 ათასი ლარი, ხოლო მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 124,7 ათასი ლარი.

**საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დაიხარჯება** (პროგრამული კოდი 04 00) **3 215,0 ათასი ლარი, აქედან** :

ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალის" დაფინანსებაზე 3065,0 ათასი ლარია განსაზღვრული.

განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამას 120,0 ათასი ლარი მოხმარდება;

არაფორმალური განათლების ხელშეწყობას მოხმარდება- 30,0 ათასი ლარი;

**კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** (პროგრამული კოდი 05 00) **4 526,0 ათასი ლარი მოხმარდება, აქედან**: სპორტის განვითარების ხელშეწყობას 1418,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის დაფინანსებაზე – 750,0 ათასი, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო"-ს დაფინანსებაზე - 258,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ რაგბისა და ლელოს კლუბი ,,ჯანი" და ,,ღონე"-ს დაფინანსებაზე მიიმართება - 200,0 ათასი ლარი.

სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობაზე- 25,0 ათასი ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდება 3048,0 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე – 1898,0 ათასი ლარი დაიხარჯება, ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დაფინანსებაზე – 500,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფინანსებაზე - 650,0 ათასი.

ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობას 55.0 ათასი ლარი მოხმარდება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდება- 5,0 ათასით.

რელიგიის დაფინანსებაზე დაიხარჯება 10,0 ათასი ლარი;

გენდერული თანასწორობა- 40,0 ათასი ლარი აქედან:

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა - 10,0 ათასი ლარი და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება- 30,0 ათასი ლარი.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** (პროგრამული კოდი 06 00) **დაფინანსდება 1 652,0 ათასი ლარით აქედან :**

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი 580,0 ათასი ლარი ;
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის ხარჯი 2,0 ათასი ლარი;

- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება 380,0 ათასი ლარი;
- დევნილთა დახმარება 15,0 ათასი;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება 25,0 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 380,0 ათასი ლარი;
- ქალთა და ოჯახების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 10,0 ათასი ლარი;
- სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების თანადაფინანსება 260,0 ათასი ლარი.

სულ ჯამში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 19 431,7 ათას ლარს.